

საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №7

2015 წლის 23 თებერვალი

ქ. თბილისი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №127 - ვებგვერდი, 14.12.2018წ.

საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №127 - ვებგვერდი, 14.12.2018წ.

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის თანდართული დებულება.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №127 - ვებგვერდი, 14.12.2018წ.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2012 წლის 6 დეკემბრის №951 ბრძანება.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

თავდაცვის მინისტრი

მინდია ჯანელიძე

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დებულება

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №127 - ვებგვერდი, 14.12.2018წ.

მუხლი 1

1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) თავდაცვის ძალების (შემდგომ – თავდაცვის ძალები) სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის (შემდგომ – სამხედრო პოლიცია) დანიშნულებას, ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს, საქმიანობის ძირითად პრინციპებს, უფლებამოსილებებს და სტრუქტურას.

2. სამხედრო პოლიცია არის თავდაცვის ძალების სპეციალური სამართალდამცავი სტრუქტურული ქვედანაყოფი.

3. სამხედრო პოლიცია ექვემდებარება თავდაცვის ძალების მეთაურს და ანგარიშვალდებულია საქართველოს თავდაცვის მინისტრისა (შემდგომ – მინისტრი) და თავდაცვის ძალების მეთაურის წინაშე.



4. სამხედრო პოლიციას აქვს ბეჭედი ქართულ-ინგლისური წარწერით „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი“, აგრეთვე ემზღება, შტამპი და ბლანკი საკუთარი სახელწოდებით, ხოლო ფინანსური ოპერაციების საწარმოებლად დადგენილი ნიმუშის ბეჭედი საიდენტიფიკაციო კოდით.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №127 - ვებგვერდი, 14.12.2018წ.

მუხლი 2

სამხედრო პოლიცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „სამხედრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით, სისხლის სამართლის კანონმდებლობით, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, სამხედრო წესდებებით, მინისტრის სამართლებრივი აქტებით, საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №127 - ვებგვერდი, 14.12.2018წ.

მუხლი 3

სამხედრო პოლიციის საქმიანობის ძირითადი ამოცანებია:

- ა) კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სისტემაში კანონიერებისა და დისციპლინის დაცვაზე კონტროლის უზრუნველყოფა;
- ბ) კომპეტენციის ფარგლებში, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება და სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება;
- გ) თავდაცვის ძალებში შემავალი ქვედანაყოფების მხარდაჭერა, თავდაცვის ძალების აღმშენებლობის, სამობილიზაციო მზადყოფნის და ბრძოლისუნარიანობის განსამტკიცებლად.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №127 - ვებგვერდი, 14.12.2018წ.

მუხლი 4. სამხედრო პოლიციის კომპეტენცია

1. საქმიანობის ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარე, სამხედრო პოლიცია უფლებამოსილია:

- ა) განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა სისხლის სამართლის დანაშაულის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და დისციპლინური გადაცდომების გამოვლენის, თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით;
- ბ) კანონმდებლობით განსაზღვრული საგამოძიებო ქვემდებარეობის ფარგლებში გამოავლინოს, გახსნას, აღკვეთოს დანაშაული, დაიწყოს და აწარმოოს გამოძიება, გამოიყენოს ფიზიკური იძულება კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით;
- გ) ჩაატაროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო მოქმედება კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში და დადგენილი წესით;
- დ) მოიპოვოს, დაამუშაოს, გააანალიზოს, სამხედრო პოლიციის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია და კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს შესაბამის ღონისძიებათა დაგეგმვა;



ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში და დადგენილი წესით, განიხილოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და დისციპლინური გადაცდომის საქმეები, შეადგინოს შესაბამისი ოქმები შემდგომი რეაგირებისათვის ან/და შუამდგომლობით მიმართოს შესაბამის ორგანოს, აგრეთვე გამოიყენოს ადმინისტრაციული და დისციპლინური საქმის წარმოების უზრუნველყოფის ზომები;

ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, საგამომიებო და ოპერატიულ-სამშებრო საქმიანობის ინტერესებში, მიიღოს გადაწყვეტილება რევიზიის ან ინვენტარიზაციის ჩატარებაზე, მოითხოვოს საუწყებო შემოწმების ჩატარება და საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კომპეტენციიდან გამომდინარე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით, მოითხოვოს (წერილობით ან სიტყვიერად) და დაუყოვნებლივ მიიღოს (მათ შორის, ადგილზე გაცნობით) ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია მითითებული ვადებისა და ფორმის დაცვით;

თ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და ფორმით გამოჰკითხოს სამინისტროს სისტემის ნებისმიერი მოსამსახურე, სამხედრო მოსამსახურე ან/და თანამდებობის პირი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით – სხვა პირი, რომელსაც შესაძლოა საქმესთან დაკავშირებით ჰქონდეს ინფორმაცია, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქმის თაობაზე მიიღოს მისგან წერილობითი ან/და სიტყვიერი განმარტება, რაც უზრუნველყოფს სამხედრო პოლიციისათვის დაკისრებული მოვალეობების სრულყოფილად შესრულებას;

ი) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით, ნებისმიერ დროს, შეუფერხებლად შევიდეს და გადაადგილდეს სამოქმედო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ფარგლებში განთავსებულ სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების (მათ შორის, ჯარის სახეობის ქვედანაყოფების), სამხედრო ობიექტებისა და დაწესებულებების დისლოკაციის ადგილებზე;

კ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში და დადგენილი წესით, აწარმოოს მოქალაქის ნივთებისა და მისი პირადი გასინჯვა;

ლ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში, „სამხედრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოიყენოს ფიზიკური იძულება, სპეციალური საშუალებები და ცეცხლსასროლი იარაღი;

მ) სამხედრო ოპერაციებისა და სამხედრო წვრთნების დროს, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სამშვიდობო მისიებში მონაწილე თავდაცვის ძალებში შემავალ ქვედანაყოფებში, საბრძოლო შენაერთებში, საწვრთნელ ტერიტორიაზე, სასროლეთებზე, პოლიგონებზე და საკონტროლო გამშვებ პუნქტებზე, კანონიერების, სამხედრო დისციპლინისა და უსაფრთხოების წესების, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე კონტროლი, მათ შორის, საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის დროს;

ნ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების (მათ შორის, ჯარის სახეობის ქვედანაყოფების) დისლოკაციის ადგილებზე, სამხედრო ობიექტებზე/დაწესებულებებში და/ან მათ მიმდებარე ტერიტორიებზე, აგრეთვე საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის და სხვა განსაკუთრებული სიტუაციების პირობებში გზებზე საკონტროლო-გამშვები პუნქტების მოწყობა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ო) უზრუნველყოს სამხედრო პატრულის ფუნქციონირება და მონიტორინგი;

პ) დადგენილი წესით, უზრუნველყოს საავტომობილო, სპეციალური და ჯავშანსატანკო კოლონების, აგრეთვე პირადი შემადგენლობის, შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაცილება/ესკორტირება;

ჟ) უზრუნველყოს მინისტრის ან/და საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მიერ განსაზღვრული ობიექტების უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება;



რ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა, აგრეთვე საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ უცხო ქვეყნების თავდაცვის სისტემის მაღალი რანგის სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობის პირთა უსაფრთხოება (საჭიროების შემთხვევაში ესკორტით გადაადგილება);

ს) საგანგებო დავალებების შემთხვევაში, სამხედრო ობიექტების და კანონმდებლობით დადგენილი წესით – სტრატეგიული დანიშნულების სამოქალაქო ობიექტების უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა;

ტ) კომპეტენციის ფარგლებში, დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა გადაყვანა (ბადრაგირება), აგრეთვე სამხედრო პოლიციის შესაბამისი ქვედანაყოფების მიერ საგამომიებო მოქმედებების ჩატარებისას შემთხვევის ადგილებისა და მტკიცებულებების დაცვა;

უ) საგამომიებო ქვემდებარეობით სამხედრო პოლიციის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, განახორციელოს ბრალდებულის ან/და ამოუცნობი გვამის რეგისტრაცია, დაქტილოსკოპირება, ფოტო-კინო-ვიდეო გადაღება და აუდიო ჩაწერა, შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშების აღება, აგრეთვე ჩაატაროს საექსპერტო გამოკვლევები სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე;

ფ) მანევრებისა და მობილურობის ოპერაციების, ასევე საბრძოლო მოქმედებების რაიონის უსაფრთხოებისა და ზურგის ოპერაციების განხორციელება/მხარდაჭერა;

ქ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, განიხილოს სამინისტროს სისტემაში (გარდა სამოქალაქო ოფისისა) დასაქმების მსურველ პირთა დანიშვნისა და კარიერული განვითარების მიზანშეწონილობის საკითხები;

ღ) იძულებით გადაადგილებული პირების/სამხედრო ტყვეების ადმინისტრირების მხარდაჭერა;

ყ) უზრუნველყოს სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა დაჭრა-დასახიჩრების, ტრავმის მიღების ან დაღუპვის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, აღნიშნული ფაქტების სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან კავშირის დასადგენად და შესაბამისი დასკვნის მომზადება;

შ) ბრალდებულის დაკავების ან დაპატიმრების მიზნით, დადგენილი წესით მიმართოს შესაბამის ორგანოებს სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის გასვლის გონივრული ვადით შეყოვნების შესახებ;

ჩ) სამხედრო პოლიციაში საიდუმლო რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფა და კონტროლი;

ც) კომპეტენციის ფარგლებში, სამხედრო ოპერაციების დაგეგმვა და ჩატარების კოორდინაცია;

ძ) სამხედრო პოლიციის საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა;

წ) სამხედრო პოლიციის ქვედანაყოფების სამართლებრივი უზრუნველყოფა; ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, სამართლებრივი ექსპერტიზა, ვიზირება; სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა/მოსამსახურეთა მიმართ დისციპლინური წარმოების უზრუნველყოფა;

წ¹) (ამოღებულია - 06.02.2017, №09);

ჭ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

ბ) განახორციელოს თავდაცვის სამინისტროს ერთიანი ფინანსური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების უზრუნველყოფა, სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა დროულად შესრულება, ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება, ფინანსური და არაფინანსური აქტივების და ვალდებულებების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორი წარმართვა კომპეტენციის ფარგლებში.



საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 17 აპრილის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 20.04.2015წ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №104 - ვებგვერდი, 19.12.2016წ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 6 თებერვლის ბრძანება №09 - ვებგვერდი, 07.02.2017წ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 24 აპრილის ბრძანება №33 - ვებგვერდი, 24.04.2017წ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №127 - ვებგვერდი, 14.12.2018წ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 04.02.2020წ.

მუხლი 5. სამხედრო პოლიციის სტრუქტურა

1. სამხედრო პოლიციაში შედის შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფები (შემდგომში – ქვედანაყოფი):

ა) ადმინისტრაციული მთავარი სამმართველო;

ბ) გამოძიების მთავარი სამმართველო;

გ) ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველო;

დ) ოპერატიულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო;

ე) დაცვისა და უსაფრთხოების მთავარი სამმართველო;

ვ) სპეციალურ გამოკვლევათა სამმართველო;

ზ) ანალიტიკური სამმართველო;

თ) საბრძოლო მომზადებისა და ოპერატიული დაგეგმვის სამსახური;

ი) იურიდიული სამსახური;

კ) სამხედრო პოლიციის აღმოსავლეთ ბატალიონი;

ლ) სამხედრო პოლიციის დასავლეთ ბატალიონი;

მ) (ამოღებულია - 06.02.2017, №09);

ნ) საპატრულო ღონისძიებათა კოორდინაციის სამმართველო.

2. ქვედანაყოფებში შემავალი სტრუქტურული ერთეულები განისაზღვრება საშტატო განრიგით.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 17 აპრილის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 20.04.2015წ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №104 - ვებგვერდი, 19.12.2016წ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 6 თებერვლის ბრძანება №09 - ვებგვერდი, 07.02.2017წ.

მუხლი 6. სამხედრო პოლიციის სტრუქტურული ქვედანაყოფების კომპეტენცია

1. ადმინისტრაციული მთავარი სამმართველოს ფუნქციებია:

ა) სამხედრო პოლიციის პირადი შემადგენლობის დაკომპლექტებისათვის წინადადებების წარდგინება,



მათი შერჩევა, განაწილება და პროფესიული დონის ამაღლება, საორგანიზაციო-სამტატო მუშაობის ორგანიზება;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, საიდუმლო და არასაიდუმლო საქმისწარმოება;

გ) სამინისტროს ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მდგომარეობასა და სპეციალური სიგნალების გამოყენებაზე კონტროლი, შესაბამისი დოკუმენტების გაცემა, აგრეთვე სანომრე ნიშნების გაცემა-რეგისტრაცია;

დ) (ამოღებულია - 24.04.2017, №33);

ე) სამხედრო პოლიციის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საჭირო ლოგისტიკური დაგეგმარების უზრუნველყოფა;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, სამხედრო პოლიციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და სხვა ლოგისტიკური მომსახურება;

ზ) სამხედრო პოლიციის ბალანსზე რიცხული ქონებისა და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა-განაწილების უზრუნველყოფა და შესაბამისი ანგარიშგებების შედგენა;

თ) კომპეტენციის ფარგლებში, ოპერატიული საქმიანობის პროცესის, მათ შორის ოპერატიული აღრიცხვის საქმეებისა და საიდუმლო თანამშრომელთა აპარატის აღრიცხვა, არქივისა და საიდუმლო საქმისწარმოების ორგანიზება/მონიტორინგი;

ი) სამხედრო პოლიციაში საიდუმლო რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფა და კონტროლი;

კ) დღეღამური ვითარების შესახებ ინფორმაციის მიღება, სისტემატიზაცია და ქვემდებარეობით მიწოდება/გადაგზავნა; სამხედრო პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში დაშვების რეჟიმის კონტროლი.

ლ) თავდაცვის სამინისტროს ერთიანი ფინანსური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განხორციელება ;

მ) სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა დროულად შესრულება ;

ნ) ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება ;

ო) ფინანსური და არაფინანსური აქტივების და ვალდებულებების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორი წარმართვა ;

პ) სასაქონლო მატერიალური ფასეულობების და დაფინანსების სწორი და დროული ასახვა შესაბამის პირველად დოკუმენტებში ;

ჟ) ხარჯების გაწევის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულება ;

რ) კანონმდებლობით ნებადართული სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების მომზადება და შესაბამისი გათვლების წარმოება ;

ს) ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მონაწილეობა და შესაბამისი გათვლების წარმოება ;

ტ) ქვედანაყოფის შესაბამისი ფულადი უზრუნველყოფა და სალარო ოპერაციების წარმოება ;

უ) ანგარიშგების (რეპორტის) მომზადება და დადგენილ ვადებში სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტში წარდგენა ;

ფ) ამ პუნქტის „ ლ ”-„ უ ” ქვეპუნქტების განმახორციელებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი ანგარიშვალდებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის წინაშე .

2. ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს ფუნქციებია:

ა) განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა სისხლის სამართლის დანაშაულის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და დისციპლინური გადაცდომების გამოვლენის, თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით;



ბ) ქვედანაყოფების ოპერატიული ინფორმაციით უზრუნველყოფა და ოპერატიულ-სამმებრო ღონისძიებების ორგანიზება და განხორციელება;

გ) სამინისტროს სისტემაში სისხლის სამართლის დანაშაულის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და დისციპლინური გადაცდომების გამოვლენის, თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით, ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი, პროგნოზირება და შესაბამისი პრევენციული ზომების გატარება;

დ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და დისციპლინურ გადაცდომათა გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება;

ე) სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად მიმტოვებელი და დეზერტირობაში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეებზე ძებნილ პირთა ძებნა-დაკავება;

ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამინისტროს სისტემაში (გარდა სამოქალაქო ოფისისა) დასაქმების მსურველ პირთა დანიშვნისა და კარიერული განვითარების მიზანშეწონილობის საკითხების განხილვა.

ზ) ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარ სამმართველოზე რიცხული ქონებისა და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა-განაწილება და შესაბამისი ანგარიშგება;

თ) სამხედრო პოლიციის კომპეტენციას მიკუთვნებული დანაშაულების, სამართალდარღვევებისა და სამხედრო ტექნიკის (პირადი შემადგენლობის) გაცილების საჭიროების შესახებ განცხადება-შეტყობინებების მიღება-რეგისტრაცია;

ი) კომპეტენციის ფარგლებში არასაიდუმლო და საიდუმლო საქმისწარმოება;

კ) ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარ სამმართველოზე რიცხული ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და კავშირგაბმულობის საშუალებების მიღება-გაცემის ორგანიზება;

ლ) დღე-ღამური ოპერატიული ვითარების შესახებ ინფორმაციის მიღება და მათი სისტემატიზაცია;

მ) (ამოღებულია- -19.12.2016, №104);

ნ) (ამოღებულია- -19.12.2016, №104);

ო) (ამოღებულია- -19.12.2016, №104);

პ) (ამოღებულია- -19.12.2016, №104);

ჟ) (ამოღებულია- -19.12.2016, №104);

რ) (ამოღებულია- -19.12.2016, №104).

3. გამოძიების მთავარი სამმართველოს ფუნქციებია:

ა) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სამხედრო პოლიციის კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება;

ბ) გამოძიების მთავარ სამმართველოში შემავალი საგამოძიებო ქვედანაყოფების წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების კოორდინაცია.

4. დაცვისა და უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ფუნქციებია:

ა) მინისტრისა და მინისტრის მიერ განსაზღვრულ პირთა დაცვისა და პირადი უსაფრთხოების



ღონისძიებების უზრუნველყოფა;

ბ) სამინისტროში ოფიციალური ვიზიტით მყოფი უცხო ქვეყნის თავდაცვის სისტემის მაღალი რანგის თანამდებობის პირთა დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა, შესაბამის დაწესებულებებთან თანამშრომლობით;

გ) დაცვის და უსაფრთხოების ღონისძიებების წარმატებით განსახორციელებლად, დასაცავ პირთა გადაადგილების მარშუტებზე, მონახულების ობიექტებსა და გასამგზავრებელ რეგიონებში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის მოძიება და შესწავლა;

დ) სამინისტროს, თავდაცვის ძალების ადმინისტრაციულ შენობასა და კიბერუსაფრთხოების ბიუროში, აგრეთვე სამინისტროს იურიდიულ მისამართზე მდებარე ტერიტორიაზე სამინისტროს მოსამსახურეებისა და ვიზიტორების დაშვების რეჟიმის განხორციელება/კონტროლი;

ე) სამინისტროს, თავდაცვის ძალების ადმინისტრაციულ შენობასა და კიბერუსაფრთხოების ბიუროში, აგრეთვე სამინისტროს იურიდიულ მისამართზე მდებარე ტერიტორიაზე და მათზე განლაგებულ საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე დაცვის ღონისძიებების განხორციელება და საყარაულო წესდების შესრულება;

ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მთავარ სამმართველოზე რიცხული შეიარაღებისა და საბრძოლო მასალის, აგრეთვე საინჟინრო და სამხედრო ტექნიკური ქონების აღრიცხვა, შენახვა, მიღება და გაცემა;

ზ) საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის, საგანგებო სიტუაციისა და სხვა განსაკუთრებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება.

5. ოპერატიულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს ფუნქციებია:

ა) „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სპეციალური საშუალებებისა და სპეციალიზებული ქვედანაყოფების გამოყენებით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება, ინფორმაციის დამუშავება და შეფასება;

ბ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹ მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფარული საგამომიებო მოქმედებების განხორციელება;

გ) სამინისტროსა და თავდაცვის ძალების ადმინისტრაციული შენობის დისლოკაციის ტერიტორიაზე ვიდეოკონტროლის განხორციელება და ვიდეოკონტროლის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა.

6. სპეციალურ გამოკვლევათა სამმართველოს ფუნქციებია:

ა) კანონმდებლობის შესაბამისად, უფლებამოსილი პირის დადგენილებით ან დავალებით, სააღრიცხვო/ფინანსური შემოწმების ჩატარება და გამოკვლევის შედეგების წარდგენა;

ბ) სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა დაჭრა-დასახიჩრების, ტრავმის მიღების ან დაღუპვის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება აღნიშნული ფაქტების სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან კავშირის დასადგენად და შესაბამისი დასკვნის მომზადება;

გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, კომპეტენციის ფარგლებში, ბრალდებულის ან/და ამოუცნობი გვამის რეგისტრაცია, დაქტილოსკოპირება, ფოტო, კინო-, ვიდეო- გადაღება და აუდიო ჩაწერა, შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშების აღება, შემთხვევის ადგილზე კვალთა ფიქსირება-ამოღება, აგრეთვე საექსპერტო გამოკვლევების ჩატარება სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე.

7. ანალიტიკური სამმართველოს ფუნქციებია:

ა) სამხედრო პოლიციის საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა;



ბ) სამხედრო პოლიციის ქვემდებარე დანაშაულებათა (მათში მონაწილე პირთა) და სამართალდარღვევათა აღრიცხვა-სისტემატიზაცია და ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის მომზადება;

გ) სამხედრო პოლიციის მიერ გაწეული მუშაობის შედეგების სტატისტიკური ანალიზი;

დ) სამხედრო პოლიციის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიშების მომზადება;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, თავდაცვის ძალების ბრძოლისუნარიანობის დამაქვეითებელი გარემოებების, საბრძოლო მზადყოფნის, პირადი შემადგენლობის მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის, ოპერატიული ვითარების ანალიზი, შემოსული ინფორმაციების თემატური განზოგადება და შესაბამისი რეკომენდაციების (წინადადებების) მომზადება/შემუშავება;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროსა და თავდაცვის ძალების სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით, თავდაცვის პოლიტიკის, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გეგმების (პროგრამების) მომზადება/შემუშავებასა და მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება.

8. საბრძოლო მომზადებისა და ოპერატიული დაგეგმვის სამსახურის ფუნქციებია:

ა) სამხედრო პოლიციის სტრუქტურული ქვედანაყოფების საბრძოლო მომზადების დაგეგმვა და კოორდინაცია;

ბ) სამხედრო პოლიციის სტრუქტურული ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადების ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და ინდივიდუალური და კოლექტიური საბრძოლო მომზადების ხარისხის თანმიმდევრული განვითარებისა და ზრდის ხელშეწყობა; სახელმძღვანელო დოკუმენტაციის შემუშავება და სამოქმედოდ შემოღება;

გ) საბრძოლო მომზადების საორგანიზაციო მეთოდური მითითების მომზადება;

დ) კომპეტენციის ფარგლებში, სამხედრო ოპერაციების დაგეგმვა და ჩატარების კოორდინაცია;

9. იურიდიული სამსახურის ფუნქციებია - სამხედრო პოლიციის ქვედანაყოფების სამართლებრივი უზრუნველყოფა; ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, სამართლებრივი ექსპერტიზა, ვიზირება; სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა/მოსამსახურეთა მიმართ დისციპლინური წარმოების უზრუნველყოფა.

10. სამხედრო პოლიციის ბატალიონების ფუნქციებია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში და დადგენილი წესით, განიხილოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და დისციპლინური გადაცდომის საქმეები, შეადგინოს შესაბამისი ოქმები შემდგომი რეაგირებისათვის ან/და შუამდგომლობით მიმართოს შესაბამის ორგანოს, აგრეთვე გამოიყენოს ადმინისტრაციული და დისციპლინური საქმის წარმოების უზრუნველყოფის ზომები;

ბ) სამხედრო ოპერაციებისა და სამხედრო წვრთნების დროს, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სამშვიდობო მისიებში მონაწილე თავდაცვის ძალებში, საბრძოლო შენაერთებში, საწვრთნელ ტერიტორიაზე, სასროლეთებზე, პოლიგონებზე და საკონტროლო გამშვებ პუნქტებზე, კანონიერების, სამხედრო დისციპლინისა და უსაფრთხოების წესების, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე კონტროლი, მათ შორის, საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის დროს;

გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების (მათ შორის, ჯარის სახეობის ქვედანაყოფების) დისლოკაციის ადგილებზე, სამხედრო ობიექტებზე/დაწესებულებებში და/ან მათ მიმდებარე ტერიტორიებზე, აგრეთვე საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის და სხვა განსაკუთრებული სიტუაციების პირობებში გზებზე საკონტროლო-გამშვები პუნქტების მოწყობა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

დ) უზრუნველყოს სამხედრო პაატრულის ფუნქციონირება და განახორციელოს კონტროლი:



დ.ა) საქართველოს ტერიტორიაზე საბრძოლო დანიშნულების ტექნიკისა და სამხედრო სატრანსპორტო საშუალებების (მათ შორის უცხო ქვეყნის) გადაადგილების კანონიერებაზე;

დ.ბ) კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროს ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებების მძღოლების მიერ საგზაო მოძრაობის წესების დაცვაზე;

ე) დადგენილი წესით, უზრუნველყოს საავტომობილო, სპეციალური და ჯავშანსატანკო კოლონების, აგრეთვე პირადი შემადგენლობის, შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაცილება/ესკორტირება;

ვ) მინისტრის ან/და საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მიერ განსაზღვრული ობიექტების უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა, აგრეთვე საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ უცხო ქვეყნების თავდაცვის სისტემის მაღალი რანგის სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობის პირთა უსაფრთხოება (საჭიროების შემთხვევაში ესკორტით გადაადგილება);

თ) იძულებით გადაადგილებული პირების/სამხედრო ტყვეების ადმინისტრირების მხარდაჭერა;

ი) მანევრებისა და მობილურობის ოპერაციების, ასევე საბრძოლო მოქმედებების რაიონის უსაფრთხოებისა და ზურგის ოპერაციების განხორციელება/მხარდაჭერა შესაძლებლობის ფარგლებში;

კ) საბრძოლო მოქმედებების რაიონის უსაფრთხოებისა და ზურგის ოპერაციების განხორციელება/მხარდაჭერა შესაძლებლობის ფარგლებში;

ლ) საჭიროების შემთხვევაში, ოპერატიული საქმიანობის საბრძოლო ძალით უზრუნველყოფა;

მ) მინისტრის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში, სამინისტროს თანამდებობის პირების დაცვა;

ნ) უსაფრთხოების ზომების გაძლიერების მიზნით, სამინისტროს სისტემაში უკანონო მოქმედებათა აღსაკვეთად განსაკუთრებულ დავალებათა შესრულება;

ო) იარაღისა და საბრძოლო მასალების ესკორტირება საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს.

11. (ამოღებულია - 06.02.2017, №09);

12. საპატრულო ღონისძიებათა კოორდინაციის სამმართველოს ფუნქციები:

ა) სამხედრო პოლიციის აღმოსავლეთ და დასავლეთ ბატალიონების ქვედანაყოფების მიერ საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელება ;

ბ) სამხედრო პოლიციის აღმოსავლეთ და დასავლეთ ბატალიონების ქვედანაყოფების მიერ პატრულირების განხორციელების და სამხედრო ობიექტებზე საკონტროლო - გამშვები პუნქტების ფუნქციონირების ხარისხის შემოწმება , შედეგების დასკვნის სახით ჩამოყალიბება და ხელმძღვანელობისათვის წარდგენა ;

გ) სამხედრო პოლიციის აღმოსავლეთ და დასავლეთ ბატალიონების ქვედანაყოფების მოსამსახურეთა მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების ფაქტების შეჯამება სათანადო ინფორმაციის მომზადება, ასევე აღმოსავლეთ და დასავლეთ ბატალიონების ქვედანაყოფების მიერ გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ მონაცემების მიღება და მათზე შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების მონიტორინგი ;

დ) სამხედრო პოლიციის აღმოსავლეთ და დასავლეთ ბატალიონების ქვედანაყოფების მიერ განსახორციელებელი საპატრულო ღონისძიებების კოორდინაცია , აგრეთვე მათთვის მეთოდური და პრაქტიკული დახმარებების გაწევა ;

ე) პატრულირებასთან დაკავშირებული ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელების



ხელისშემშლელი გარემოებების გამოვლენა და მათ აღმოსაფხვრელად შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება .

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 17 აპრილის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 20.04.2015წ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №104 - ვებგვერდი, 19.12.2016წ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 6 თებერვლის ბრძანება №09 - ვებგვერდი, 07.02.2017წ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 24 აპრილის ბრძანება №33 - ვებგვერდი, 24.04.2017წ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №127 - ვებგვერდი, 14.12.2018წ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 04.02.2020წ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მაისის ბრძანება №47 - ვებგვერდი, 27.05.2020წ.

მუხლი 7. სამხედრო პოლიციის ხელმძღვანელობა და მოსამსახურეები

1. სამხედრო პოლიციის საქმიანობას მართავს და საერთო ხელმძღვანელობას უწევს სამხედრო პოლიციის უფროსი (შემდგომში – უფროსი), რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

2. უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს სამხედრო პოლიციას და პასუხისმგებელია სამხედრო პოლიციის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს სამხედრო პოლიციის გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

გ) ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას სამხედრო პოლიციის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამხედრო პოლიციის თანამშრომლების საქმიანობაზე;

დ) იღებს გადაწყვეტილებას სამხედრო პოლიციის მოსამსახურეთა მიმართ წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ;

ე) ამტკიცებს სამხედრო პოლიციის ქვედანაყოფების ფუნქციებს და სამსახურებრივ ინსტრუქციებს, გამოსცემს მეთოდურ მითითებებს;

ვ) განსაზღვრავს სამხედრო პოლიციის ქვედანაყოფების ოპერატიული დაქვემდებარების საკითხებს;

ზ) სამხედრო პოლიციის მოსამსახურეებს აძლევს შესასრულებლად სავალდებულო მითითებებსა და დავალებებს;

თ) განიხილავს და ამტკიცებს დაქვემდებარებული ქვედანაყოფების სამუშაო გეგმებს;

ი) წარუდგენს მინისტრს და საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურს ანგარიშს სამხედრო პოლიციის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ;

კ) იხილავს სამხედრო პოლიციაში შემოსულ წერილებს, განცხადებებსა და საჩივრებს;

ლ) ამტკიცებს სამხედრო პოლიციის ბლანკების ნიმუშებს;

მ) პასუხისმგებელია სამხედრო პოლიციისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ფასეულობების (მათ შორის, შეიარაღების, საბრძოლო მასალის, სპეციალური ტექნიკის, სპეციალური საშუალებების და ა.შ.) მიზნობრივ ხარჯვასა და გამოყენებაზე;

ნ) საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურთან შეთანხმებით, დასამტკიცებლად წარუდგინს



მინისტრს სამხედრო პოლიციის დებულების პროექტს, სტრუქტურასა და ხარჯთაღრიცხვას, ასევე ნორმატიულ აქტებში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტებს;

ო) განსაზღვრავს სამხედრო პოლიციის მოსამსახურეების ფუნქცია-მოვალეობებს, აძლევს მათ შესასრულებლად სავალდებულო მითითებებსა და დავალებებს;

პ) ასრულებს მინისტრისა და საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის დავალებებს, სამხედრო პოლიციის საქმიანობასთან დაკავშირებით;

ჟ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. უფროსის წარდგინებით, სამხედრო პოლიციის მოსამსახურეებს თანამდებობაზე ნიშნავს, თანამდებობიდან ათავისუფლებს, წოდებას ანიჭებს და სამხედრო პოლიციის საშტატო განრიგს ამტკიცებს მინისტრი, თავდაცვის ძალების მეთაურთან შეთანხმებით.

4. უფროსს ჰყავს მოადგილეები, რომელთაც საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურთან შეთანხმებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი. მათი ფუნქცია-მოვალეობები და საკურატორო ქვედანაყოფები განისაზღვრება უფროსის ბრძანებით.

5. უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას უფროსის ბრძანებით ასრულებს უფროსის ერთ-ერთი მოადგილე.

6. უფროსის მოადგილეები ანგარიშვალდებულნი არიან უფროსის წინაშე და კომპეტენციის ფარგლებში პასუხს აგებენ დაკისრებული ფუნქციების სრულყოფილად შესრულებაზე.

7. სამხედრო პოლიციის სტრუქტურაში შემავალი ქვედანაყოფის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ქვედანაყოფის საქმიანობას, პასუხს აგებს ქვედანაყოფზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ) წარმოადგენს ქვედანაყოფს დაკისრებული უფლება-მოვალეობის განხორციელებისას;

გ) ანაწილებს მოვალეობებს ქვედანაყოფის მოსამსახურეებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს, ახორციელებს კონტროლს თანამშრომელთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე;

დ) ხელს აწერს ქვედანაყოფში მომზადებულ დოკუმენტებს;

ე) შეიმუშავებს წინადადებებს ქვედანაყოფების შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზების, ქვედანაყოფის მოსამსახურეთა წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ვ) შუამდგომლობს ქვედანაყოფის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;

ზ) ანგარიშს აბარებს უფროსს ქვედანაყოფის საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ;

თ) უფლებამოსილია კომპეტენციის ფარგლებში, უფროსის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში, გამოსცეს მითითებები და ბრძანებები;

ი) ახორციელებს ამ დებულებითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

კ) ქვედანაყოფის უფროსს (მეთაურს), საშტატო განრიგით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ჰყავს მოადგილე(ები), რომელიც ქვედანაყოფის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, უფროსის ბრძანებით, ასრულებს მის მოვალეობას.

8. სამხედრო პოლიციის სერჟანტთა შემადგენლობას ხელმძღვანელობს და სამხედრო პოლიციის



სამხედრო მოსამსახურეთა (გარდა ოფიცრებისა) დისციპლინის განმტკიცების, ფიზიკური მზადყოფნის, ინდივიდუალური საბრძოლო მომზადების, სამხედრო-პროფესიული განათლებისა და კარიერული განვითარების საკითხებს უფლებამოსილების ფარგლებში კოორდინაციას უწევს სამხედრო პოლიციის მთავარი სერჟანტი, რომელსაც დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 16 მარტის ბრძანება №28 - ვებგვერდი, 16.03.2018წ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №127 - ვებგვერდი, 14.12.2018წ.

